

0-6 წლის ბავშთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის მონიტორინგის სახელმძღვანელო ელექტრონული მოდულის მეშვეობით

შინაარსი

<i>მიზანი და ამოცანები</i>	2
<i>სამიზნე აუდიტორია</i>	2
<i>შესავალი</i>	2
<i>ხარისხის მონიტორინგის რეკომენდაციები</i>	3
<i>ექიმის ფუნქციები და ელექტრონულ მოდულში შეტანილი ინფორმაციის მოცულობა</i>	4
<i>ექთნის ფუნქციები და ელექტრონულ მოდულში შეტანილი ინფორმაციის მოცულობა</i>	9
<i>0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის პროცესის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები</i>	16
<i>ანალიტიკა</i>	42
<i>დანართი №1. სელექციური სკრინინგის სპეციფიკური ჩვენება სხვადასხვა მდგომარეობის დროს</i>	42
<i>დანართი №2. ძუძუთი კვების დროს სწორი მოჭიდების და პოზიციის ნიშნები</i>	43
<i>დანართი №3. ახალშობილის ეფექტური ძუძუთი კვების და რძის ადეკვატური ოდენობის მიღების შესაფასებელი კრიტერიუმები</i>	44
<i>გამოყენებული ლიტერატურა</i>	44

მიზანი და ამოცანები

სახელმძღვანელოს მიზანი

0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული სისტემის გამოყენების დეტალური და ყოვლისმომცველი ინსტრუქციების მიწოდება სისტემის მომხმარებლებისთვის (ექიმები, ექთნები, სამედიცინო ჰოლდინგი და სხვა), რათა უზრუნველყოფილი იქნას ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის გაუმჯობესება.

სახელმძღვანელოს ამოცანებია:

- 0-6 წლის ასაკის ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის მოკლე მიმოხილვა
- ინსტრუქციების მიწოდება პაციენტის ინფორმაციის შეყვანისა და განახლების შესახებ
- ინფორმაციის მიწოდება ბავშვის განვითარების ანამნეზის შეკრებისთვის აუცილებელი მონაცემების შესახებ
- ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის ინდიკატორების მონიტორინგის აღწერა
- რეკომენდაციების მიწოდება დოკუმენტაციის წარმოების სიზუსტის შესახებ.

სამიზნე აუდიტორია

0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების ოჯახის ექიმები, პედიატრები, ზოგადი პრაქტიკის ექთნები, ადმინისტრაციული პერსონალი, IT სპეციალისტები. ჯანდაცვის მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგს (მაგ.: სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგი, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვა).

შესავალი

0-6 წლის ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული სისტემა შეიქმნა UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო მისი განახლება, ტესტირება და პილოტირება განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტის **„ყველა ბავშვისთვის უწყვეტი და ხარისხიანი პჯდ სერვისების მიწოდება საქართველოში“** ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს 2022 წლის ივლისიდან 2024 წლის ივნისამდე და რომლის მიზანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხარისხიანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სოფლის პირველადი ჯანდაცვის დონეზე, დისტანციური სამედიცინო სერვისების დანერგვისა

და საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ბაზაზე ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ფუნქციონირებადი სტრუქტურის - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის (Maternal and Child Health Quality Improvement Hub – MCH QI Hub) შექმნის გზით. ელექტრონული სისტემის გაუმჯობესებაზე მუშაობდა მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედგებოდა საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტი კლინიცისტების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს (CITI) IT კონსულტანტების, პროექტის ფარგლებში შერჩეული ხარისხის მენეჯერების (პრაქტიკოსი ოჯახის ექიმი-მასწავლებლების) და უშუალოდ საპილოტე სოფლის ამბულატორიების ოჯახის ექიმებისგან.

ელექტრონული მოდულის მეშვეობით შესაძლებელია ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე სრულყოფილი მეთვალყურეობის განხორციელება. მასში ინტეგრირებულია 0-დან 6 წლამდე ასაკში რეკომენდებული ყველა სკრინინგული ინსტრუმენტი, ანთროპომეტრიული მაჩვენებლების მონიტორინგის მრუდები, საგანმანათლებლო თემები მშობლებისთვის და ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით განვითარების პრობლემებზე მომუშავე არსებული სერვისების შესახებ.

0-6 წლის ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ბავშვთა შეფასების ფორმა
- რეფერალური სერვისები
- საკონსულტაციო თემები
- დამხმარე ლიტერატურა
- რეპორტები
- ანალიტიკა
- საინფორმაციო გვერდი
- დახმარება
- 2 წლამდე ბავშვთა კვება

სისტემის ზოგადი დიზაინი, ავტორიზაციის დეტალები, ჩამოთვლილი სექციების აღწერილობა და შევსების ტექნიკური ინსტრუქცია მოცემულია „0-6 წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ სახელმძღვანელოში, რომელიც ატვირთულია „დახმარების“ სექციაში და შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://childmonitoring.moh.gov.ge/Hmis.ChildMonitoring.Web/assets/Files/Guide_Book.pdf.

წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილია ინსტრუქციები ელექტრონული მოდულის გამოყენებასთან დაკავშირებით 0-დან 6 წლამდე ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის მონიტორინგის რეკომენდაციები

ელექტრონული მოდული ეფუძნება 0-დან 6 წლამდე ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ეროვნულ პროტოკოლებს და საერთაშორისო ავტორიტეტული წყაროების რეკომენდაციებს. შესაბამისად, მასში ინტეგრირებულია ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის ის აუცილებელი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტს.

ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის პროცესის ხარისხიანად წარმართვისა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელია აღნიშნული პროცესის ხარისხის რეგულარული მონიტორინგი შერჩეული ინდიკატორების მეშვეობით.

0-დან 6 წლამდე ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული პლატფორმა მოიცავს ანალიტიკურ მოდულს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ამ ინდიკატორების მოგროვება და მათი შესრულების შეფასება.

0-დან 6 წლამდე ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში მუშაობა შეუძლია როგორც ოჯახის ექიმს/პედიატრს, ისე ზოგადი პრაქტიკის ექთანს. ექიმისა და ექთნის ფუნქციები და მოცულობა ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ვიზიტების დროს განსაზღვრულია ეროვნული გაიდლაინით/პროტოკოლით. ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი პროცესები, ფუნქციები და ინფორმაციის მოცულობა, რომელიც უნდა შეიტანოს ელექტრონულ მოდულში ექიმმა და ექთანმა ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ვიზიტების დროს.

ექიმის ფუნქციები და ელექტრონულ მოდულში შეტანილი ინფორმაციის მოცულობა

0-დან 6 წლამდე ასაკში ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ეროვნული პროტოკოლის მიხედვით ოჯახის ექიმის მიერ განსახორციელებული სავალდებულო ვიზიტები შემდეგია:

ასაკი	პირველი წელი							2 წლის	3 წლის	4 წლის	5 წლის
	2 კვირის	1 თვის	2 თვის	3 თვის	4 თვის	6-9 თვის	9-12 თვის	18-24 თვის	30-36 თვის		
ექიმთან პირისპირ ვიზიტი			1		1		1	1	2	1	1
დისტანციური კონსულტაცია						2	1	1			
ექიმის ბინაზე ვიზიტი	1										

0-დან 6 წლამდე ასაკში ოჯახის ექიმი ახორციელებს ბავშვთან **9 პირისპირ ვიზიტს და 4 დისტანციურ კონსულტაციას.**

ექიმთან პირისპირ ვიზიტები სავალდებულოდ უნდა განხორციელდეს 2 კვირამდე, 2 თვის, 4 თვის, 9-12 თვის, 18-24 თვის, 30 თვის, 3 წლის, 4 წლის და 5 წლის ასაკში.

დისტანციური კონსულტაციების განხორციელების რეკომენდებული ვადებია 6-9 თვის (2 ვიზიტი), 9-12 თვის (1 ვიზიტი), 18-24 თვის (2 ვიზიტი) ასაკში.

დისტანციური ვიზიტების დროს ექიმი აფასებს ბავშვის განვითარებას, აღნიშნული ვიზიტების შეზღუდვების გათვალისწინებით და იღებს გადაწყვეტილებას, საჭიროა თუ არა ბავშვის დამატებით პირისპირ დაბარება სრულფასოვანი გასინჯვის მიზნით.

დისტანციური კონსულტაციის დაჯავშნა ხორციელდება 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულიდან, კერძოდ, ბავშვის შეფასების ფორმის ვიზიტებიდან, ჯანმრთელობა/განვითარების ნაწილში ვიზიტის დაგეგმვის სექციიდან, „ონლაინ ჯავშნის“ ფუნქციის გამოყენებით. დეტალური ინსტრუქცია მოცემულია მოდულის „დახმარების“ განყოფილებაში.

ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის რუტინული ვიზიტები - ელექტრონულ მოდულში ინტეგრირებულია 0-დან 6 წლამდე ასაკის 20 რუტინული ვიზიტი. მათგან 13 ვიზიტი არის სავალდებულო, ხოლო დანარჩენი 7 ვიზიტი არის სარეკომენდაციო, ან გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვზე მეთვალყურეობის ვიზიტი არ ხორციელდება პროტოკოლით განსაზღვრულ ვადაში. თითოეული ვიზიტი მოიცავს რამდენიმე სექციას:

1. საიდენტიფიკაციო მონაცემები
2. ჯანმრთელობა/განვითარება
3. განვითარების ნიშანსვეტები
4. ობიექტური გასინჯვა
5. სკრინინგი
6. მშობლის კონსულტირება
7. დასკვნა/რეკომენდაციები
8. მომდევნო ვიზიტის დაგეგმვა

თითოეულ ვიზიტში ინტეგრირებული ინფორმაციის მოცულობა ითვალისწინებს ახალშობილებისა და ბავშვების ჯანმრთელობის, ზრდის, ფიზიკური და მენტალური განვითარების სისტემურ მეთვალყურეობას, მათ შორის, საჭიროებისამებრ სმენის, მხედველობის, ბარძაყის დისპლაზიის, სათესლეების ჩამოუსვლელობის, განვითარების შეფერხების და აუტისტური სპექტრის დარღვევების, აგრეთვე, დედის პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგს.

ბავშვის მეთვალყურეობის ვიზიტის მოცულობის სრულად ჩატარების შემდეგ ექიმმა უნდა განახორციელოს განვითარების შეფასების შედეგის დოკუმენტირება, სპეციალისტთან/სპეციალიზირებულ სერვისზე რეფერალის საჭიროების განსაზღვრა და მომდევნო ვიზიტის თარიღის და ფორმის (პირისპირ თუ დისტანციური) განსაზღვრა.

განვითარების შეფასების შედეგი შესაძლებელია იყოს შემდეგი:

1. **ნორმალური განვითარების ბავშვი** - ბავშვს აქვს მისი ასაკისთვის შესაბამისი ყველა რეფლექსი/პოზიცია/უნარი და სახეზე არ არის განვითარების რისკფაქტორები;
2. **ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით** - ბავშვს აქვს მისი ასაკისთვის შესაბამისი ყველა რეფლექსი/პოზიცია/უნარი, მაგრამ სახეზეა განვითარების ერთი ან მეტი რისკფაქტორი;

3. **განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშანი** - ბავშვს არ აქვს ერთი ან მეტი რეფლექსი/პოზიცია/უნარი, რომელიც შეესაბამება მის ასაკობრივ ჯგუფს; სკრინინგული კითხვარების ქულათა ჯამი სარისკო ზონაშია.
4. **განვითარების შეფერხება (სკრინინგის დადებითი შედეგი)** - თავის გარემოწერილობა $< -2Z$ ან $> +2Z$; სახეზეა 3 ან მეტი ფენოტიპური ცვლილება; ბავშვს არ აქვს ერთი ან მეტი რეფლექსი/პოზიცია/უნარი, რომელიც შეესაბამება მის წინა ასაკობრივ ჯგუფს; სკრინინგული კითხვარის დადებითი შედეგი (ASQ-3 ქულების ჯამი მუქ ზონაშია 3 და მეტ სფეროში, MCHAT-ის ქულათა ჯამი >7).

ბავშვის განვითარების სკრინინგი მოიცავს სტანდარტულ ტესტებს და საქართველოში რუტინულად ტარდება 9-12, 18, 24 და 30 ან 36 თვის ასაკში ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული და ნორმირებული „ასაკებისა და ეტაპების კითხვარით - ASQ-3“. აღნიშნული კითხვარები ინტეგრირებულია ელექტრონულ მოდულში და ექიმი სავალდებულო პირისპირ ვიზიტების დროს აფასებს ბავშვის განვითარებას მშობლის მიერ შევსებული კითხვარით, რომელიც შესაძლებელია წინასწარ გაეგზავნოს მშობელს, ან მოხდეს მისი შევსება ადგილზე, ექთნის დახმარებით.

აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) სკრინინგი - აუტისტური სპექტრის დარღვევები (ასდ) ფასდება ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს, 18 და 24 თვის ასაკში, სპეციალურად შემუშავებული სკრინინგული კითხვარით M-CHAT, რომელიც აგრეთვე ინტეგრირებულია ელექტრონულ მოდულში. ეს კითხვარი შესაძლებელია მშობელს გაეგზავნოს წინასწარ, ან მოხდეს მისი შევსება ადგილზე, ექთნის დახმარებით, ან ექიმთან ერთად, 18-24 თვის ასაკში განხორციელებული დისტანციური კონსულტაციის დროს.

ოჯახის/გარემო პირობების შეფასება - რეკომენდებულია ბინაზე პატრონაჟის ვიზიტის განხორციელება სამშობიაროდან გამოწერის შემდეგ 14 დღის ვადაში, ასევე პერიოდულად ექთნის მიერ, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ-ეკონომიკური, უსაფრთხოების, დედის მხრივ საშიშროების ნიშნების, დედის დეპრესიის, ბოროტად მოპყრობისა და უგულვებლყოფის ნიშნების და ახალშობილის ჯანმრთელობის მგომარეობის შეფასების მიზნით. ოჯახის/გარემო პირობების შეფასების კითხვარი ინტეგრირებულია ელექტრონულ მოდულში და ივსება ბინაზე პირველი ვიზიტის დროს ექიმის მიერ, ხოლო შემდეგ რუტინულად 1 თვის, 18-24 თვის, 3 წლის და 4 წლის ასაკში ექთნის მიერ.

პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგი - სხვადასხვა მტკიცებულებები მეტყველებს, რომ პოსტნატალური დეპრესია მოქმედებს დედის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ასოცირებულია ბავშვის არასათანადო კვებასა და ჯანმრთელობასთან და შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ძუძუთი კვებაზე, დედასა და ჩვილს შორის მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებასა და პარტნიორთან ურთიერთობაზე. გარდა ამისა, პოსტნატალური დეპრესია ასოცირებულია ბავშვის განვითარების პრობლემებთან, ინტელექტუალურ დარღვევებთან და ფსიქოპათოლოგიურ მდგომარეობებთან. რეკომენდებულია დეპრესიაზე სკრინინგი ჩატარდეს ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის ვიზიტებზე 1 თვის, 2 თვის, 4 თვისა და 6 თვის ასაკში. სკრინინგისთვის რეკომენდებულია

ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალის გამოყენება. ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა ინტეგრირებულია ელექტრონულ მოდულში და შესაძლებელია შეივსოს დედის მიერ, როგორც ექიმის, ისე ექთნის დახმარებით.

გამოვლენილი პრობლემების მართვა - ექიმმა უნდა შეავსოს სპეციალისტთან/სპეციალიზირებულ სერვისში რეფერალის გრაფა. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვის რეფერალის საჭიროება არ არის, ან თუ ის უკვე იმყოფება ადრეული ჩარევის რომელიმე სერვისში, რეფერალის სხვა ვარიანტები შესაძლებელია იყოს შემდეგი:

1. **რეფერალი სპეციალიზირებულ კლინიკაში ყოვლისმომცველი შეფასების მიზნით** - რეფერალი სპეციალიზირებულ კლინიკაში ყოვლისმომცველი შეფასების მიზნით განიხილება, როდესაც ასდ-სპეციფიკური ან ზოგადი განვითარების სკრინინგით ვლინდება მაღალი რისკის ქულა. ასეთ დროს საჭიროა სრულყოფილი სამედიცინო შემოწმება/გასინჯვა. საექიმო გასინჯვის დროს უნდა შეფასდეს დისმორფული ნიშნები (სტიგმები), რომლებიც მიუთითებენ გენეტიკურ პათოლოგიაზე. ზოგადი ფიზიკური გასინჯვით შესაძლებელია გამოუვლენელი სამედიცინო პრობლემის დადგენა (როგორცაა, მაგალითად, გულის, თირკმლის, ჰემატოლოგიური დაავადებები და სხვა).

2. **რეფერალი ადრეული ინტერვენციის პროგრამაში** - იმ შემთხვევაში, თუ ASQ-3-ით სკრინინგისას ბავშვს გამოუვლინდა რისკი 3 და მეტ სფეროში (ASQ-3-ის ქულების ჯამი კონკრეტულ სფეროებში არის მუქ ზონაში), აუცილებელია ბავშვის რეფერალი ადრეული ჩარევის ქვეპროგრამაში.

ბავშვი უნდა გაიგზავნოს ადრეული ჩარევის ქვეპროგრამაში, თუ ASQ-3-ით სკრინინგისას ბავშვი ხვდება მუქ ზონაში 2 სფეროში და ეს ეს სფეროებია კომუნიკაცია და პიროვნულ-სოციალური ან პრობლემების გადაჭრა, ასევე ბავშვები, რომელთა ASQ-სკრინინგით ვლინდება რისკი სხვა სფეროებში და არსებობს ექიმის ეჭვი ან მშობლის წუხილი განვითარების შეფერხებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვები გარკვეული მდგომარეობებით, რომლებიც ასოცირებულია განვითარების შეფერხების მაღალ რისკთან, ადრეული განვითარების პროგრამაში უნდა ჩაერთონ ASQ-3-ქულების მიუხედავად. ასეთ მდგომარეობებს მიეკუთვნება, მაგალითად:

- ქრომოსომული სინდრომები, რომლებიც ასოცირებულია განვითარების შეფერხებასთან;
- თანდაყოლილი პათოლოგიები, რომლებიც ასოცირებულია განვითარების შეფერხებასთან;
- სენსორული დარღვევები (მაგ.: მხედველობა, სმენა);
- მეტაბოლური დარღვევები, განვითარების პრობლემების მაღალი რისკით;
- პრენატალურ პერიოდში განვითარებული ინფექციები ან პათოლოგიური მდგომარეობები, რის შედეგადაც განვითარდა მნიშვნელოვანი სამედიცინო პრობლემა, როგორცაა მაგალითად: მორეციდივე გულყრები ან ნევროლოგიური

დაზიანების სხვა ფორმები, აპგარის ქულა ≤ 5 დაბადებიდან მე-5 წუთზე, ტერატოგენების ზემოქმედების ფაქტი;

- დაბადებისას მცირე წონა $< 1,200$ გრამზე;
 - პოსტნატალური შეძენილი პრობლემები, რაც იწვევს განვითარების მნიშვნელოვან შეფერხებას, მათ შორის, მიჯაჭვულობისა და რეგულატორული პრობლემა და ა. შ. პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელია ბავშვზე გაიცეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც უნდა მიეთითოს განვითარების შეფასების დიაგნოზი, ASQ-3 ქულები კონკრეტული სფეროს მიხედვით და ჯამურად, აგრეთვე რეკომენდაცია კონკრეტული სფეროს პრობლემისთვის საჭიროების შესახებ (მაგალითად, მეტყველების თერაპევტი კომუნიკაციის პრობლემის, ან ოკუპაციური თერაპევტი - ნატიფი მოტორიკის პრობლემის დროს), აგრეთვე დამატებითი კლინიკური ექვი (მაგალითად, სმენის, მხედველობის პრობლემა), რომელზეც სტანდარტული ინსტრუმენტით სკრინინგი არ ჩატარებულა.
3. **რეფერალი აუტიზმის მართვის პროგრამაში** - ბავშვი იგზავნება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის მუნიციპალურ პროგრამაში, რომელიც შესაძლებელია, არ იყოს ხელმისაწვდომი ყველა მუნიციპალიტეტში. პროგრამაში რეფერირებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობები: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა) და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი.
 4. **1 წლამდე ასაკის ბავშვის დედა პოსტნატალური დეპრესიით, რომლის რეფერალიც განხორციელდა მენტალური ჯანმრთელობის სპეციალიზებულ სერვისში** - რეფერალი რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალით (EPDS) ჩატარებული სკრინინგის ქულა > 11 .
 5. **ბავშვი ჯანმრთელობის სოციალური რისკფაქტორებით, რომლის რეფერალიც განხორციელდა სოციალურ სერვისში** - საჭიროება დგება, როდესაც სახეზეა განვითარების შეფერხების სოციალური რისკფაქტორები, როგორცაა ოჯახში ძალადობა, დედის დეპრესია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება, სექსუალური ძალადობა, სოციალურად დაუცველი ოჯახი, არასათანადო გარემო (ნესტი, ტყვიის ზემოქმედება, არასათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საკვების უსაფრთხოება) და ა.შ.
 6. **მშობლის/მომვლელის რეფერალი ოჯახის ექიმთან/შესაბამის სპეციალისტთან** - რეფერალი უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობელს/მომვლელს აღენიშნება კონკრეტული სამედიცინო პრობლემა, რაც საჭიროებს შესაბამის მართვას.

7. სხვა - მაგალითად, აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამა, რომელშიც იგზავნებიან 3 წლისა და მეტი ასაკის (მათ შორის, მინდობით აღზრდაში/სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი) შშმ ბავშვები, რომელთაც დადგენილი აქვთ პროგრამის დანართი №2.16-ით გათვალისწინებული დიაგნოზები¹, აგრეთვე ამავე მდგომარეობების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები. პროგრამაში რეფერირებისთვის საჭიროა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა-ფორმა №IV-100/ა და შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა (გარდა 3 წლამდე ასაკის ბავშვისა).

ექთნის ფუნქციები და ელექტრონულ მოდულში შეტანილი ინფორმაციის მოცულობა

0-დან 6 წლამდე ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ეროვნული პროტოკოლის მიხედვით, ექთანმა უნდა განახორციელოს 13 სავალდებულო პრვენციული ვიზიტი 0-6 წლის ასაკში, საიდანაც 6 ვიზიტი ხორციელდება 1 წლამდე პერიოდში, ორ-ორი ვიზიტი 18-24 თვის, 3 წლის და 4 წლის ასაკში და 1 ვიზიტი 5 წლის ასაკში. აღნიშნული 13 სავალდებულო ვიზიტიდან 5 ვიზიტი ტარდება ექთნის მიერ ბინაზე, რომლის დროსაც ფასდება სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უსაფრთხოების საკითხები, დედის მხრივ საშიშროების ნიშნები, დედის დეპრესიის, ბოროტად მოპყრობისა და უგულვებელყოფის რისკები და ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ექთნის მიერ განსახორციელებელი სავალდებულო რუტინული ვიზიტები წარმოდგენილია ქვემოთ.

ასაკი	პირველი წელი							2 წლის	3 წლის	4 წლის	5 წლის
	2 კვირის	1 თვის	2 თვის	3 თვის	4 თვის	6-9 თვის	9-12 თვის	18-24 თვის	30-36 თვის		
ექთანთან პირისპირ ვიზიტი			1	1	1		1	1			1
ექთნის დისტანციური კონსულტაცია									1	1	
ექთნის ბინაზე ვიზიტი	1	1						1	1	1	

საექთნო ვიზიტის დროს განხორციელებული შეფასების შედეგების დოკუმენტირება ექთნის მიერ ხორციელდება 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში, ხოლო ჩანაწერს ხელს აწერს როგორც ექთანი, ასევე ექიმი,

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება⁶⁹: სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727062?publication=0>

რომელიც ამოწმებს ექთანის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს და ადასტურებს მის სისწორეს საკუთარი ხელმოწერით.

2 კვირის და 1 თვის ასაკში ბინაზე პატრონაჟის ვიზიტების დროს - ექთანი ახდენს სამშობიაროში ჩატარებული მეტაბოლური სკრინინგების და აცრების გადამოწმებას, ანთროპომეტრიას (თუ ბინაზე არის აწონვის/გაზომვის შესაძლებლობა, ან პჯდ გუნდს გააჩნია კომპაქტური სასწორი და სიგრძის საზომი, რომელსაც იყენებენ ბინაზე ვიზიტების დროს), ოჯახური გარემოს შეფასებას, დედის კონსულტირებას ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე. ელექტრონულ მოდულში ექთანს შეაქვს შემდეგი ინფორმაცია:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ავსებს ოჯახის/გარემო პირობების შეფასების კითხვარს;
- ავსებს ახალშობილის სკრინინგის ნაწილს და შეაქვს მასში ჩატარებული სკრინინგები და შედეგები (თუ უკვე შეტანილი არ არის სამშობიაროში);
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიგრძეს, თავის გარშემოწერილობას და მონაცემები ავტომატურად გადადის მოდულში ინტეგრირებულ ზრდის მრუდებზე;
- აფასებს კვების ტიპს, ძუძუთი კვების ტექნიკას, ეფექტურობას და ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ეჭვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექთნო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში;
- აწარმოებს შეფასების შედეგების კომუნიკაციას ოჯახის ექიმთან და ოჯახის ექიმი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ჩანაწერების სისწორეს.

2, 3 და 4 თვის ასაკში ექთანთან პირისპირ ვიზიტები - ამ ასაკში რეკომენდებულია აცრის ჩატარება, აცრის ჩატარებამდე ტემპერატურის გაზომვა და ბავშვის ისტორიაში დოკუმენტირება, ანთროპომეტრია, დედის კონსულტირება ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე. ექთანს ელექტრონულ ისტორიაში შეაქვს შემდეგი ინფორმაცია:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიგრძეს, თავის გარშემოწერილობას;

- აფასებს კვების ტიპს, ძუძუთი კვების ტექნიკას, ეფექტურობას და ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ექვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექტონო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით აგზავნის ბავშვს შესაბამის ასაკობრივ აცრაზე და შეაქვს ინფორმაცია ელექტრონული მოდულის იმუნიზაციის გრაფაში.
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

პირისპირ ვიზიტი 9-12 თვის ასაკში - 12 თვის ასაკში ტარდება იმუნიზაცია ეროვნული კალენდრის მიხედვით. აცრის ჩატარებამდე ექთანმა უნდა გაზომოს ტემპერატურა და მოახდინოს ბავშვის ისტორიაში დოკუმენტირება. ამ ასაკში ასევე რეკომენდებულია განვითარების სკრინინგი ასაკისა და ეტაპების ASQ-3 კითხვარით. ექთანს ელექტრონულ ისტორიაში შეაქვს შემდეგი ინფორმაცია:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ამ ასაკში უნივერსალური სკრინინგის ფარგლებში ატარებს სკრინინგს ანემიაზე და ახდენს მონაცემების დოკუმენტირებას სამედიცინო ისტორიაში;
- განვითარების უნივერსალური სკრინინგის ფარგლებში განუმარტავს მშობელს ASQ-3 კითხვარის შევსების წესებს, უწევს მეთვალყურეობას კითხვარის შევსებაში და ახდენს მონაცემების დოკუმენტირებას ელექტრონული მოდულის ASQ-3 ასაკისა და ეტაპების კითხვარის გრაფაში.
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიგრძეს, თავის გარშემოწერილობას;
- აფასებს კვების ტიპს, დამატებითი კვების სტრუქტურას, რა საკვები მიიღო ბავშვმა ბოლო 24 საათის განმავლობაში, აგრძელებს თუ არა ძუძუთი კვებას და ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ექვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექტონო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;

- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით აგზავნის ბავშვს შესაბამის ასაკობრივ აცრაზე და შეაქვს ინფორმაცია ელექტრონული მოდულის იმუნიზაციის გრაფაში.
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

პირისპირ ვიზიტი 18-24 თვის ასაკში (1 ვიზიტი კლინიკაში და 1 ვიზიტი ბინაზე) - 18 თვის ასაკში ტარდება იმუნიზაცია ეროვნული კალენდრის მიხედვით. აცრის ჩატარებამდე ექთანს ზომავს ტემპერატურას და ახდენს დოკუმენტირებას ბავშვის ისტორიაში. ამ ასაკში რეკომენდებულია განვითარების რუტინული სკრინინგი და აგრეთვე, აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგი. ექთანს ელექტრონულ ისტორიაში შეაქვს შემდეგი ინფორმაცია:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიგრძეს, თავის გარშემოწერილობას, 2 წლის ასაკიდან - სმი-ს მაჩვენებელს;
- აფასებს კვების ტიპს, დამატებითი კვების სტრუქტურას, რა საკვები მიიღო ბავშვმა ბოლო 24 საათის განმავლობაში, აგრძელებს თუ არა ძუძუთი კვებას და ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- განვითარების უნივერსალური სკრინინგის ფარგლებში განუმარტავს მშობელს ASQ-3 და MCHAT კითხვარების შევსების წესებს, უწევს მეთვალყურეობას კითხვარის შევსებაში და ახდენს მონაცემების დოკუმენტირებას ელექტრონული მოდულის „ASQ-3 ასაკისა და ეტაპების კითხვარის“ და „აუტიზმის კითხვარის“ გრაფებში.
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ეჭვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექტონო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით აგზავნის ბავშვს შესაბამის ასაკობრივ აცრაზე და შეაქვს ინფორმაცია ელექტრონული მოდულის იმუნიზაციის გრაფაში.
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- ბინაზე ვიზიტის დროს ავსებს ოჯახის/გარემო პირობების შეფასების კითხვარს და განსაზღვრავს შესაბამის რისკს;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

ბინაზე 1 ვიზიტი და 1 დისტანციური კონსულტირება 3 წლის ასაკში - ბინაზე ვიზიტის დროს ექთანს აფასებს ოჯახურ გარემოს, აკვირდება მშობლების და ბავშვის ურთიერთობას, ბავშვის დასჯის ფორმებს, ოჯახში თამბაქოს მწვეველების არსებობას, ძალადობის ნიშნებს, ატარებს ანთროპომეტრიას და მონაცემების გადატანას შესაბამის მრუდებზე, ინფორმაცია შეაქვს ბავშვის განვითარების ისტორიაში, ატარებს მშობლის კონსულტირებას/განათლებას ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე. ელექტრონულ მოდულში აფიქსირებს შემდეგ ინფორმაციას:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიმაღლეს, თავის გარშემოწერილობას (თუ ბინაზე არსებობს გაზომვის შესაძლებლობა) და სმი-ს;
- აფასებს კვების ტიპს, საკვების სტრუქტურას, რა საკვები მიიღო ბავშვმა ბოლო 24 საათის განმავლობაში, ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- განვითარების უნივერსალური სკრინინგის ფარგლებში განუმარტავს მშობელს ASQ-3 კითხვარის შევსების წესებს, უწევს მეთვალყურეობას კითხვარის შევსებაში და ახდენს მონაცემების დოკუმენტირებას ელექტრონული მოდულის „ASQ-3 ასაკისა და ეტაპების კითხვარის“ გრაფაში, რომლის შედეგებსაც უზიარებს ოჯახის ექიმს.
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ექვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექტონო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- ბინაზე ვიზიტის დროს ავსებს ოჯახის/გარემო პირობების შეფასების კითხვარს და განსაზღვრავს შესაბამის რისკს;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

3 წლის ასაკში დისტანციური კონსულტაციის შემთხვევაში ექთანს:

- აკვირდება დედის (მშობლის/მომვლელის) და ბავშვის ურთიერთობას, აფასებს ოჯახურ გარემოს და შეაქვს ინფორმაცია ჯანმრთელობა/განვითარების „ოჯახის მართვის გეგმის“ გრაფაში;
- უტარებს კონსულტირებას მშობელს ასაკისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე და შეაქვს ინფორმაციას ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში;

- აფიქსირებს ნებისმიერ გამოვლენილ პრობლემას და უზრუნველყოფს დროულ რეფერალს ოჯახის ექიმთან, რომლის დოკუმენტირებასაც ახდენს ელექტრონულ ისტორიაში;
- თუ მშობელს ბინაზე აქვს ბავშვის აწონვის და სიმაღლის გაზომვის შესაძლებლობა, ექთანის მეთვალყურეობით, მშობელი აწარმოებს აწონვას/სიმაღლის გაზომვას და ექთანს მიღებული მაჩვენებლები გადააქვს ზრდის შესაბამის მრუდებზე.
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

ბინაზე 1 ვიზიტი და 1 დისტანციური კონსულტირება 4 წლის ასაკში - ბინაზე ვიზიტის დროს ექთანი აფასებს ოჯახურ გარემოს, აკვირდება მშობლების და ბავშვის ურთიერთობას, აფასებს სასკოლო მზაობას (მეტყველების სიცხადე და ლაპარაკის სრული აღქმა, შეგრძნებების გამოხატვის უნარი, სხვა ბავშვებთან სოციალიზაციის შესაძლებლობები), კვებით ჩვევებს და პიროვნულ უნარ-ჩვევებს (კვებითი ღირებულების მქონე საკვები, წყალი, წვენი; ჯანმრთელობის ხელშემწყობი ყოველდღიური რუტინა), მედიის გამოყენებას, ატარებს მშობლის კონსულტირებას/განათლებას ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე. ელექტრონულ მოდულში აფიქსირებს შემდეგ ინფორმაციას:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიმაღლეს და სმი-ს (თუ ბინაზე გაზომვის შესაძლებლობა არსებობს).
- აფასებს კვების ტიპს, საკვების სტრუქტურას, რა საკვები მიიღო ბავშვმა ბოლო 24 საათის განმავლობაში, ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ეჭვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავებს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექთნო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- ავსებს ოჯახის/გარემო პირობების შეფასების კითხვარს და განსაზღვრავს შესაბამის რისკს;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

4 წლის ასაკში დისტანციური კონსულტაციის შემთხვევაში ექთანი:

- აკვირდება დედის (მშობლის/მომვლელის) და ბავშვის ურთიერთობას, აფასებს ოჯახურ გარემოს და შეაქვს ინფორმაცია ჯანმრთელობა/განვითარების „ოჯახის მართვის გეგმის“ გრაფაში;
- უტარებს კონსულტირებას მშობელს ასაკისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე და შეაქვს ინფორმაციას ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში;
- აფიქსირებს ნებისმიერ გამოვლენილ პრობლემას და უზრუნველყოფს დროულ რეფერალს ოჯახის ექიმთან, რომლის დოკუმენტირებასაც ახდენს ელექტრონულ ისტორიაში;
- თუ მშობელს ბინაზე აქვს ბავშვის აწონვის და სიმაღლის გაზომვის შესაძლებლობა, ექთნის მეთვალყურეობით მშობელი აწარმოებს აწონვას/სიმაღლის გაზომვას და ექთანს მიღებული მაჩვენებლები გადააქვს ზრდის შესაბამის მრუდებზე.
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

პირისპირ ვიზიტი ექთანთან 5 წლის ასაკში - ამ ასაკში ტარდება იმუნიზაცია ეროვნული კალენდრის მიხედვით. ექთანი ავსებს ბავშვის განვითარების ისტორიას და ელექტრონულ ისტორიაში შეაქვს შემდეგი ინფორმაცია:

- ავსებს ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- ჯანმრთელობა/განვითარების სექციაში ავსებს ჩივილების გრაფას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ვიზიტების ჯანმრთელობა/განვითარების განყოფილებაში ავსებს ფიზიკური განვითარების პარამეტრებს: წონას, სიმაღლეს და სმი-ს.
- აფასებს კვების ტიპს, საკვების სტრუქტურას, რა საკვები მიიღო ბავშვმა ბოლო 24 საათის განმავლობაში, ავსებს შესაბამის გრაფებს ელექტრონულ მოდულში;
- აფასებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საშიშროების ნიშნებს და განსაზღვრავს ოჯახის ექიმთან რეფერალის საჭიროებას ნებისმიერ რისკზე ეჭვის შემთხვევაში;
- ოჯახის ექიმთან შეთანხმებით იმუშავეს ოჯახისა და ბავშვის მართვის საექტონო გეგმას და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- შეაქვს განვითარების შეფასების შედეგი და რეფერალის საჭიროება ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფებში;
- ატარებს კონსულტირებას ასაკისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე და ახდენს დოკუმენტირებას ელექტრონულ მოდულში;
- განსაზღვრავს მომდევნო ვიზიტის თარიღს, რომელსაც მონიშნავს ელექტრონული მოდულის შესაბამის გრაფაში.

0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის პროცესის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები

0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის მეშვეობით შესაძლებელია ადრეული ასაკის ბავშვთა პრევენციული სერვისების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ხორციელდება სპეციფიკური ინდიკატორების მეშვეობით, რომელთა მოგროვება და გაანალიზება შესაძლებელია მოდულის ანალიტიკური ძრავის საშუალებით. ხარისხის ინდიკატორების რეგულარული შემოწმება საშუალებას აძლევს პრაქტიკოს საედიცინო პერსონალს და დაწესებულების მენეჯმენტს, მუდმივად გააუმჯობესონ ადრეული ასაკის ბავშვთა პრევენციული სერვისები და უზრუნველყონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განმავითარებელი ჩარევები. ქვემოთ განხილულია აღნიშნული პროცესის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორების დოკუმენტირებისა და ინფორმაციის შეტანის დეტალები.

ინდიკატორი 1		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	ბავშვის ანთროპომეტრიული პარამეტრების შეფასება და გადატანა Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე
	ინდიკატორის განმარტება	1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარშემოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვთა შეფასების ფორმა → ვიზიტები → ჯანმრთელობა/განვითარება → ფიზიკური განვითარება → წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	წონა იწერება გრამებში სიგრძე/სიმაღლე იწერება სანტიმეტრებში თავის გარშემოწერილობა იწერება სანტიმეტრებში
კალკულაცია	მრიცხველი	1 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარშემოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე სულ მცირე 6X გასული წლის მანძილზე
	მნიშვნელი	მოიცავს × პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი × პაციენტის ასაკი არის 1 წელი

ელექტრონული მოდულის რომელ ნაწილში შეიძლება ვნახოთ ინდიკატორი	რეპორტები→უნდა მოინიშნოს შესაბამისი დაწესებულება/ექიმი→მოინიშნოს დროის სასურველი პერიოდი→შესაბამისი ინდიკატორი→ჩამოიტვირთოს Excel-ის ფაილი
ინდიკატორის დასაბუთება	<p>ბავშვის ანთროპომეტრიული პარამეტრების შეფასება და დოკუმენტირება ყველა რუტინულ ვიზიტზე და პროგრესის პერიოდული გადახედვა აუცილებელია ზრდის შეფერხების პრობლემების დროული გამოვლენისა და მართვის მიზნით. ბავშვის ზრდის ადეკვატურად შესაფასებლად საჭიროა დინამიკური მეთვალყურეობა. ერთჯერადი შეფასება შეიძლება ანთროპომეტრიული მახასიათებლების არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს. ამავ დროს, ფიზიკური განვითარების შეფასება დინამიკაში საშუალებას იძლევა შეფასდეს ზრდის ტემპი, ანუ კონკრეტული ანთროპომეტრიული პარამეტრის ცვლილებები დროის მონაკვეთში.</p> <p>ფიზიკური განვითარების შეფასება ტარდება პერიოდულად, რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ხშირად ხდება შეფასება.</p>

ინდიკატორი 2		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	სმენის, მხედველობის და ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი
	ინდიკატორის განმარტება	1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ თანდაყოლილი ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის პრობლემების სკრინინგი
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	<p>ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი: ბავშვთა შეფასების ფორმაში 2 კვირიდან 11 თვის ჩათვლით ვიზიტებში →ჯანმრთელობა/განვითარება→ სკრინინგი → უნივერსალური სკრინინგი → მენჯ-ბარძაყის სახსარში მოძრაობა (ბარლოუ, ორთოლანი)</p> <p>სმენის სკრინინგი: ბავშვთა შეფასების ფორმაში 2 კვირიდან 4 თვის ჩათვლით ვიზიტებში → სკრინინგი → უნივერსალური სკრინინგი → სმენა</p> <p>მხედველობის სკრინინგი: ბავშვთა შეფასების ფორმაში 2 კვირიდან 12 თვის ჩათვლით ვიზიტებში → ობიექტური გასინჯვა → მხედველობა</p>
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	შესაბამის ველებში მონიშნულია „კი“ და დაფიქსირებულია შემაჯამებელი კომენტარი
კალკულაცია	მრიცხველი	ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელიდან, რომელთაც ჩაუტარდათ: სმენის, მხედველობის და ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი პროტოკოლით გათვალისწინებულ ვადებში (იხილეთ ინდიკატორის დასაბუთებაში)
	მნიშვნელი	<p>მოიცავს</p> <ul style="list-style-type: none"> × პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი × პაციენტის ასაკი არის 1 წელი

		გამონაკლისი არც ერთი
ინდიკატორის დასაბუთება	სარწმუნო კვლევები რეკომენდაციას უწევენ ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის რუტინულ შემოწმებას, განსაკუთრებით ცხოვრების პირველ წელს (A ხარისხის რეკომენდაცია). აღნიშნული ინდიკატორი ადგენს სკრინინგის შესაბამისობას ეროვნულ პროტოკოლთან, რომლის მიხედვითაც 1 წლის ასაკამდე ბავშვს უნდა ჩაუტარდეს: * სმენის სკრინინგი 3 თვის ასაკამდე სულ მცირე 1 X * მხედველობის სკრინინგი 1 წლამდე სულ მცირე 2X * ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი 1 წლამდე სულ მცირე 4X	

ინდიკატორი 3		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება ინდიკატორის განმარტება	განვითარების სკრინინგი 6 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს ჩატარებული აქვთ განვითარების რუტინული სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვის ასაკი 6 წლის→ბავშვთა შეფასების ფორმაში→9 თვის ან 12 თვის, 18 თვის, 24 თვის, 30 ან 36 თვის ვიზიტები → ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარი შევსებულია.
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	შესაბამისი ასაკობრივი ვიზიტის დროს ივსება ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარის 5 სფერო, რის შემდეგაც ავტომატურად ხდება ქულების კალკულაცია. თითოეული სფეროს შეფასების დასრულებისას აუცილებელია შემაჯამებელი კომენტარის დოკუმენტირება. შემაჯამებელი კომენტარი უნდა ჩაიწეროს ASQ-3 კითხვარის სრულად შევსების შემდეგაც, ხოლო ქულის შესაბამისად უნდა მოინიშნოს შემდგომი ქმედება, რომელიც ჩანს ჩამოსაშლელი სიის სახით.
კალკულაცია	მრიცხველი	ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 9-12, 18, 24 და 36 თვის ასაკში ჩატარებული აქვთ განვითარების სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით და მონაცემი დოკუმენტირებულია ელექტრონულ მოდულში
	მნიშვნელი	მოიცავს × პჯდ კლიენტს/პაციენტს × პირის ასაკი არის 6 წელი გამონაკლისი არც ერთი

ინდიკატორის დასაბუთება	განვითარების სკრინინგი მოიცავს სტანდარტულ ტესტებს და საქართველოში რუტინულად ტარდება 9-12, 18, 24 და 36 თვის ასაკში ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული და ნორმირებული „ასაკებისა და ეტაპების კითხვარით - ASQ-3“.
-------------------------------	--

ინდიკატორი 4

ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	განვითარების რიგგარეშე სკრინინგი
	ინდიკატორის განმარტება	
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვი არის 6 წლის→ ბავშვთა შეფასების ფორმაში→ვიზიტები→ჯანმრთელობა/განვითარება → დასკვნა/რეკომენდაციები→ ბავშვი-მართვის გეგმა→ მონიშნულია განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება→ ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის ველში მითითებულია „კი“
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	რისკფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში ბავშვის მართვის გეგმაში უნდა მონიშნოს განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება; განვითარების შეფასების შედეგში უნდა მიეთითოს: „ვლინდება ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით“ ან „ვლინდება განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნები“. მომდევნო ვიზიტის დაგეგმვაში მიეთითოს მომდევნო ვიზიტის თარიღი. ხოლო დაგეგმილ თარიღში ჩატარებული ვიზიტის ბავშვის მართვის გეგმის განყოფილებაში მონიშნოს „ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი“.
კალკულაცია	მრიცხველი	ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც განვითარების შეფერხებაზე ეჭვის შემთხვევაში დოკუმენტირებულია რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი)
	მნიშვნელი	მოიცავს <ul style="list-style-type: none"> × პჯდ კლიენტს/პაციენტს × პირის ასაკი არის 6 წელი გამონაკლისი არც ერთი
ინდიკატორის დასაბუთება	სკრინინგი ასევე ტარდება რისკფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ დროს სკრინინგი ფოკუსირებულია პრობლემურ სფეროზე. თუ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს (2 ან მეტი სფერო ან ქვესფერო) და/ან გამოვლინდა მშობლის ჩივილი - რეკომენდებულია რიგგარეშე სკრინინგის ჩატარება,	

	<p>რათა გამოვლინდეს განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ღრმა გამოკვლევას.</p> <p>თუ ბავშვი ვერ ასრულებს ერთი რომელიმე სფეროს ასაკობრივ ნიშანსვეტებს მიზანშეწონილია რიგგარეშე სკრინინგის დროს ფოკუსირება მოცემულ სფეროზე.</p>
--	---

ინდიკატორი 5

ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის განმარტება	განვითარების სკრინინგი 4-5 წლის ასაკში
<p>მონაცემთა ელემენტები</p>	<p>საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები</p>		<p>6 წლამდე ასაკის ბავშვების %, რომელთაც განვითარების შეფერხების მაღალი რისკის/ეჭვის შემთხვევაში ჩაუტარდათ განვითარების სკრინინგი 4-5 წლის ასაკში</p>
	<p>როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება</p>		<p>ბავშვი არის 6 წლის→ ბავშვთა შეფასების ფორმა→ 4 წლის ან 5 წლის ვიზიტები→ ჯანმრთელობა/განვითარება→დასკვნა/რეკომენდაციები→ ბავშვი-მართვის გეგმა→ მონიშნულია განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება→ ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის ველში მითითებულია „კი“</p> <p>რისკფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში ბავშვის მართვის გეგმაში უნდა მონიშნოს განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება; განვითარების შეფასების შედეგში უნდა მიეთითოს: „ვლინდება ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით“ ან „ვლინდება განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნები“.</p> <p>მომდევნო ვიზიტის დაგეგმვაში მიეთითოს მომდევნო ვიზიტის თარიღი. ხოლო 4 ან 5 წლის ასაკში ჩატარებული ვიზიტის ბავშვის მართვის გეგმის განყოფილებაში მონიშნოს „ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი“.</p>
<p>კალკულაცია</p>	<p>მრიცხველი</p>		<p>ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც განვითარების შეფერხების მაღალი რისკის/ეჭვის შემთხვევაში ჩაუტარდათ განვითარების სკრინინგი 4-5 წლის ასაკში წინასასკოლო მზაობის შესაფასებლად</p>
	<p>მნიშვნელი</p>		<p>მოიცავს</p> <ul style="list-style-type: none"> × პუდ კლიენტს/პაციენტს × პირის ასაკი არის 6 წელი <p>გამონაკლისი</p> <p>არც ერთი</p>
<p>ინდიკატორის დასაბუთება</p>	<p>რეკომენდებულია განვითარების ფორმალური სკრინინგის ჩატარება 4 ან 5 წლის ასაკში, როდესაც არსებობს განვითარების დარღვევების რისკი, ეჭვი ან პრობლემები. ასაკის</p>		

	<p>მატებასთან ერთად შეფერხების ნიშნები უფრო თვალსაჩინო ხდება. რუტინული სკრინინგის გარეშე, განვითარების ან ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვების დაახლოებით 50%-ის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება საბავშვო ბაღში შესვლამდე. ამდენად, განვითარების სტანდარტული სკრინინგის ჩატარებამ 4 წლის ასაკში იმ ბავშვებისთვის, რომელთა მიმართაც არსებობს განვითარების პრობლემის რისკი ან ეჭვი, შეიძლება გააუმჯობესოს საბავშვო ბაღში შესვლამდე პრობლემის გამოვლენა და რეფერალი, თუ წინა ვიზიტების დროს ვერ მოხერხდა სწავლის ან ყურადღების დარღვევების ამოცნობა.</p>
--	--

ინდიკატორი 6		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	ინტენსიური მეთვალყურეობა განვითარების შეფერხების რისკის დროს
	ინდიკატორის განმარტება	- 0-6 წლის ბავშვების %, სადაც განვითარების შეფერხების მაღალი რისკის შემთხვევაში დოკუმენტირებულია ინტენსიური მეთვალყურეობა
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვთა შეფასების ფორმა→ ვიზიტები→ ჯანმრთელობა/განვითარება→ დასკვნა/რეკომენდაციები → ბავშვი-მართვის გეგმა→ მონიშნულია განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება→ ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის ველში მითითებულია „კი“
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	რისკფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში ბავშვის მართვის გეგმაში უნდა მონიშნოს განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება; განვითარების შეფასების შედეგში უნდა მიეთითოს: „ვლინდება ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით“ ან „ვლინდება განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნები“. მომდევნო ვიზიტის დაგეგმვაში მიეთითოს მომდევნო ვიზიტის თარიღი. ხოლო დაგეგმილ თარიღში ჩატარებული ვიზიტის ბავშვის მართვის გეგმის განყოფილებაში მონიშნოს „ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი“. ეს ვიზიტები უნდა იყოს უფრო ხშირი, ვიდრე პროტოკოლით გათვალისწინებული გეგმიური ვიზიტები (0-დან 6 წლამდე პროტოკოლით განსაზღვრულია სულ 13 გეგმიური ვიზიტი)
კალკულაცია	მრიცხველი	ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც დოკუმენტირებულია რიგგარეშე მეთვალყურეობა (პროგრამით განსაზღვრული რუტინული ვიზიტების გარდა)

	მნიშვნელი	მოიცავს × პჯდ ბენეფიციარს/პაციენტს × პაციენტის ასაკი არის 0-6 წელი × მეთვალყურეობის ვიზიტის დროს დაფიქსირებულია შეფერხების მაღალი რისკი ან "გამაფრთხილებელი" ნიშნები
ინდიკატორის დასაბუთება	განვითარებაზე ზედამხედველობის პროცესში 2 და მეტი რისკ-ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია უფრო ხშირი მეთვალყურეობა.	

ინდიკატორი 7		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება ინდიკატორის განმარტება	გეგმიური სელექციური სკრინინგი
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვის შეფასების ფორმა→ვიზიტები→ პერინატალური რისკები→ ახალშობილი რისკის ჯგუფი (მონიშნულია სპეციფიკური რისკი)→ჯანმრთელობა და განვითარება→სკრინინგი→ სელექციური სკრინინგი→ მონიშნულია შესაბამისი სკრინინგის ჩატარება→ სელექციური სკრინინგის შემაჯამებელ კომენტარში აღწერილია რომელი სელექციური სკრინინგი ეკუთვნოდა, რომელი ჩატარდა ან არ ჩატარდა
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	სელექციური სკრინინგის სპეციფიკური რისკის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ დანართი №1) რისკი უნდა მოინიშნოს პერინატალური რისკებში (თუ ეს რისკი განპირობებულია პერინატალური პრობლემებით), ვიზიტის ჯანმრთელობა/განვითარების შემაჯამებელი კომენტარის ველში უნდა მიეთითოს კონკრეტული სელექციური სკრინინგის საჭიროება, ხოლო სკრინინგის განყოფილებაში სელექციურ სკრინინგში უნდა მოინიშნოს კონკრეტული ბავშვისთვის რეკომენდებული სელექციური სკრინინგი. სელექციური სკრინინგის შემაჯამებელი კომენტარის ველში უნდა აღიწეროს, რომელი სკრინინგი ეკუთვნოდა, რომელი ჩატარდა ან არ ჩატარდა
კალკულაცია	მრიცხველი	ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც ჩვენების არსებობის შემთხვევაში ჩატარდა სპეციფიკური სკრინინგები
	მნიშვნელი	მოიცავს × პჯდ ბენეფიციარს/პაციენტს × პაციენტის ასაკი არის 0-6 წელი

		× მეთვალყურეობის ვიზიტის დროს დაფიქსირებულია გეგმიური სელექციური სკრინინგის ჩვენება
ინდიკატორის დასაბუთება	სელექციური სკრინინგისთვის სპეციფიკური რისკის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ დანართი №1) დამატებით ტარდება შემდეგი სკრინინგები: x ანემია - რისკის არსებობისას ჰემოგლობინის ან ჰემატოკრიტის განსაზღვრა; x არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში); x დისლიპიდემია - სკრინინგული კითხვებისას მაღალი რისკის შემთხვევაში ლიპიდური პროფილი; x სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; x ტყვიის შემცველობა სისხლში - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; x პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორული ფტორის დანიშვნა; x მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში რეფერალი ოფთალმოლოგთან.	

ინდიკატორი 8		
ინდიკატორის დასახელება და განმარტება	ინდიკატორის დასახელება	არაგეგმიური სკრინინგი სელექციური სკრინინგის დროს
	ინდიკატორის განმარტება	- 0-6 წლის ბავშვების %, ვისაც სელექციური სკრინინგით გამოვლენილი რისკისას ჩაუტარდა შესაბამისი რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი
მონაცემთა ელემენტები	საიდან უნდა შეგროვდეს მონაცემები	ბავშვის შეფასების ფორმა→ვიზიტები→ პერინატალური რისკები→ ახალშობილი რისკის ჯგუფი (მონიშნულია სპეციფიკური რისკი)→ჯანმრთელობა და განვითარება→სკრინინგი→ სელექციური სკრინინგი→ მონიშნულია შესაბამისი სკრინინგის ჩატარება→ სელექციური სკრინინგის შემაჯამებელ კომენტარში „დამატებითი კომენტარი სკრინინგის შესახებ“ მითითებულია სკრინინგით გამოვლენილი მაღალი რისკი→ განვითარების შეფასების შედეგში მითითებულია „სხვა“→"სხვა" გამოვლენილი პრობლემები/განვითარების შეფერხების კომენტარის ველში დაფიქსირებულია სელექციური სკრინინგით გამოვლენილი პრობლემა და რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგის საჭიროება→ მომდევნო ვიზიტის დაგეგმვაში მომდევნო ვიზიტის სახე მითითებულია „არაგეგმიური“.
	როგორ ხდება მონაცემების დოკუმენტირება	სელექციური სკრინინგის სპეციფიკური რისკის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ დანართი №1) რისკი უნდა მოინიშნოს პერინატალურ რისკებში

